ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №296691

ნომერი: AR167061

თარიღი : 17.07.2012

გაცემის თარიღი : 06.08.2012

გაცნობის თარიღი : 07.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი რესპუბლიკა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ძაგნიძე პ/ნ 01024005153
- იოსებიძის 51

ორგანიზაცია:
- შპს"ლიმონი 2009" კოდი: 204571490

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 ოქტომბრის №1561 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 17 ივლისს №AR167061 განცხადებით მომართა მოქ. რევაზ ძაგნიძემ და მოითხოვა 2011 წლის 10 ოქტომბრის №1561 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საკადასტრო მონაცემებისა და ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის

არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 10 ოქტომბერს დადგინდა №1561 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, რესპუბლიკის მოედანი (ნაკვეთი №004/002) სასტუმრო „რედისონი“-ს ეზოში არსებული შენობის მიშენებით რეკონსტრუქციისათვის. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 10840 მ2 მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) პარამეტრებით. დღევანდელი მდგომარეობით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მთელ საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). გარდა ზემოაღნიშნულისა შემცირდა მიწის ნაკვეთის ფართი, რამაც გამოიწვია საკადასტრო მონაცემების ცვლილება, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართი იყო 10840 კვ.მ (საკადასტრო კოდი №01.15.04.004.002), ხოლო დღეის მდგომარეობით შემცირდა მისი ფართი, შესაბამისად შეიცვალა კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს 2335 კვ.მ-ს (საკადასტრო კოდი №01.15.04.004.043).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და №1561 (10.10.11 წ.) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შემდეგი ცვლილებების შეტანა, კერძოდ: ფუნქციურ ზონად მხოლოდ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) დაფიქსირება თავისი პარამეტრებით და პირობებით, ხოლო მიწის ნაკვეთის ფართად 2335 კვ.მ-ს დაფიქსირება საკადასტრო კოდი №01.15.04.004.043.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 11 ოქტომბრის №1561 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ა) ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); ბ) მიწის ნაკვეთის ფართად 10840 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 2335 კვ.მ; გ) მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის (საკადასტრო კოდი №01.15.04.004.043 სარეგისტრაციო №882012118653) შესაბამისად; დ) ამოღებული იქნეს შენიშვნა: – „შენიშვნა: დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი“;

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 ოქტომბრის №1561 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012118653; მომზადების თარიღი 26.03.2012წ; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 21.03.2012წ.);

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 ოქტომბრის №1561 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.